

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტის

სასწავლო თეატრის
დებულება



დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე 15.12.2017 წელი

- მუხლი 1. თეატრის სტატუსი
- მუხლი 2. თეატრის ფუნქციები
- მუხლი 3. თეატრის უფლებამოსილება
- მუხლი 4. თეატრის ხელმძღვანელი
- მუხლი 5. თეატრის სტრუქტურა

მუხლი 1. დიმიტრი ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრის სტატუსი

დიმიტრი ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრი (შემდეგში თეატრი) არის საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეული.

მუხლი 2. თეატრის ფუნქციები

- უნივერსიტეტის სამემსრულებლო სპეციალობის სტუდენტების განათლების ხელშეწყობა;
- პედაგოგების და სტუდენტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა სპექტაკლებზე მუშაობისა და წარმოდგენების გამართვისათვის;

- სპექტაკლზე მუშაობის დაწყებისას რეჟისორთან და მხატვართან ერთად ესკიზის განხილვა და სპექტაკლის ხარჯთაღრიცხვის მოზადება.
- შესაბამის სამსახურებზე ფუნქციების გადანაწილება და კონტროლი,

მუხლი 3. თეატრის უფლებამოსილება

- სასწავლო თეატრი უფლებამოსილია:
- დეკანთან ერთად აწარმოოს თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკა, შეადგინოს სპექტაკლების საჯარო შესრულების განრიგი და თავის შეხედულებისამებრ განათავსოს ნებისმიერი სარეკლამო მასალის პუბლიკაცია.
- დაგეგმოს და განახორციელოს შემოქმედებითი ფესტივალები, საღამოები, სახელოვნებო სემინარები და კონფერენციები.
- დეკანთან ერთად აწარმოოს საკადრო პოლიტიკა.
- მოიზიდოს ფინანსური და მატერიალური რესურსები
- აწარმოოს (დეკანთან შეთანხმებით) მოლაპარაკებები და განახორციელოს სხვადასხვა სახის ორგანიზაციული თუ შემოქმედებითი აქტივობები როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებთან.
- ითანამშრომლოს საერთაშორისო კულტურულ ორგანიზაციებთან საქართველოს კანონმდებლობისა და ფაკულტეტის დებულების შესაბამისად.
- ადმინისტრაციასთან და დეკანთან ერთად განსაზღვროს ფინანსური პოლიტიკა, დააწესოს ბილეთის და სხვა მომსახურების ღირებულება.

მუხლი 4. თეატრის ხელმძღვანელი

4.1 თეატრის ხელმძღვანელს დეკანის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

4.2 თეატრის ხელმძღვანელი:

- ა) უზრუნველყოფს თეატრის მუშაობის ორგანიზებას.
- ბ) ფაკულტეტის საბჭოსთან და დეკანთან ერთად წარმართავს თეატრის სარეპერტუარო და საფესტივალო პოლიტიკას.
- გ) შეიმუშავებს თეატრის საქმიანობის კომერციალიზაციის გზებს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის საკუთარი შემოსავლების გაზრდის მიზნით.
- დ) თეატრის თანამშრომელთა დასანიშნად (გასათავისუფლებლად) ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს შესაბამის კანდიდატურებს.

მუხლი 5. თეატრის სტრუქტურა

თეატრის შემადგენლობაში შედიან: თეატრის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული, ფინანსური და ტექნიკური პერსონალი (მათ შორის სცენის მემანქანეები; ხმის ოპერატორი; რეკვიზიტორი; ტექნიკური რეჟისორი; მეგარდერობე; გამნათებელი; დურგალი), ასევე სასწავლო პროცესით გათვალისწინებული ან/და განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად მოწვეული სპეციალისტები.